გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 03/07/2013

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება №0713/03-1

2013 წლის 3 ივლისი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №1 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან მოძრაობა თალიბანში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ნომრები 113 და 122 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული რედაქციით.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ნომერი 5 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №2 დანართში მოცემული რედაქციით.

3. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №3 დანართში, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან, ნომერი 135 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №3 დანართში მოცემული რედაქციით.

4. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32, ნაწილი IV, 02.11.06) №2 დანართიდან, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, ამოღებულ იქნეს ნომერი 63.

5. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. როინიშვილი

დანართი №1

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან მოძრაობა თალიბანში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი(ები), შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
113	***სახელები:*** 1. ნასირუდდინი (NASIRUDDIN) 2. ჰაქანი (HAQQANI) 3. 4. ***დაბ.თარიღი:*** დაახლ. 1970-1973 ***დაბ.ადგილი:*** ნეკას რაიონი, პაკტიკას პროვინცია, ავღანეთი (Neka District, Paktika Province, Afghanistan) ***ეროვნება/მოქალაქეობა:*** ავღანელი	ა) დრ. ალიმ გერი (Dr. Alim Ghair); ბ) ნასირ ჰაქანი (Naseer Haqqani); გ) დრ. ნასირ ჰაქანი (Dr. Naseer Haqqani); დ) ნასირ ჰაქანი (Nassir Haqqani) ე) ნაშირ ჰაქანი (Nashir Haqqani); ვ) ნასერუდინი (Naseruddin).	***პასპორტის მონაცემები:*** ***პირადი ნომერი:***	პაკისტანი (Pakistan)	**20.07.10** (ცვლილებები 29.07.11 18.05.12 27.06.13)	ჩრდილოეთ ვაზირისტანში, პაკისტანი (North Waziristan in the Federally Administered Tribal Areas of Pakistan) მოქმედი Haqqani Network-ის მეთაური. ჯალალუდინ ჰაქანის (Jalaluddin Haqqani) შვილი. თალიბანისათვის ფულადი სახსრების შეგროვების მიზნით იმოგზაურა საუდის არაბეთსა (Saudi Arabia) და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში (United Arab Emirates).
122	***სახელები:*** 1. მოჰამადი (MOHAMMAD) 2. ამანი (AMAN) 3. ახუნდი (AKHUND) 4. ***დაბ. თარიღი:*** 1970 ***დაბ. ადგილი*** : სოფ. ბანდე ტუმური, მაივენდის რაიონი, ყანდაარის პროვინცია, ავღანეთი (Bande Tumur Village, Maiwand District, Kandahar Province, Afghanistan) ***ეროვნება/მოქალაქეობა:***	ა) მოჰამედ ამანი (Mohammed Aman); ბ) მულაჰ მოჰამედ ომანი (Mullah Mohammed Oman); გ) მულაჰ მოჰამად ამან უსტედ ნურზაი (Mullah Mohammad Aman Ustad Noorzai); დ) მულაჰ მედ ამან უსტედ ნურზაი (Mullah Mad Aman Ustad Noorzai); ე) სანაულაჰი (Sanaullah).	***პასპორტის მონაცემები:*** ***პირადი ნომერი:***		**06.01.12** (ცვლილებები 18.05.12 27.06.13)	2011 წლის მდგომარეობით, თალიბანის უფროსი წევრი და პასუხისმგებელი ფინანსურ საკითხებზე, მათ შორის, ხელმძღვანელობისათვის ფულადი სახსრების მოზიდვა. აწარმოებდა თალიბანის მიერ წარმოებული ოპერაციების მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერასა და ნარკოტიკებით

						უკანონო ვაჭრობიდან შემოსული თანხებით იარაღის შეძენას. წარმოადგენდა თალიბანის მეთაურის მულაჰ მოჰამედ ომარის (Mullah Mohammed Omar) მდივანსა და მის წარმომადგენელს თალიბანის მაღალი დონის შეხვედრებზე. ასევე, აქვს კავშირი გულ აგა იშაკზაისთან (Gul Agha Ishakzai). თალიბანის რეჟიმის დროს შედიოდა მულაჰ მოჰამედ ომარის (Mullah Mohammed Omar) გარემოცვაში.

დანართი №2

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი-(ები), შესაძლო ადგილსამყო-ფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმა-ცია
1	2	3	4	5	6	7
5.	***სახელები:*** 1. აბდულ მანან აღა (ABDUL MANAN AGHA) 2. 3. 4. ***დაბ. თარიღი:*** ***დაბ. ადგილი*** ***ეროვნება/მოქალაქეობა***	ა) აბდულ მანანი (Abdul Manan); ბ) აბდულ მან'ამ საიდი (Abdul Man'am Saiyid); გ) საიდ აბ ალ-მანი (Saiyid Abd al-Man) (ადრინდელი სიის მიხედვით)	***პასპორტის მონაცემები:*** ***პირადი ნომერი:***		**17.10.01** (ცვლილებები 26.06.13)	პაკისტანი (Pakistan)

დანართი №3

იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

№	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართი	სიაში შეყანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6
135	RAHAT LTD.	ა) Rahat Trading Company; ბ) Haji Muhammad Qasim Sarafi; გ) New Chagai Trading; დ) Musa Kalim Hawala.	ა) Branch Office 1: Room number 33, 5th Floor, Sarafi Market, Kandahar city, Kandahar Province, Afghanistan; ბ) Branch Office 2: Shop number 4, Azizi Bank, Haji Muhammad Isa Market, Wesh, Spin Boldak, Kandahar Province, Afghanistan; გ) Branch Office 3: Safaar Bazaar, Garmser District,	21.11.12 **(ცვლილებები 27.06.13)**	2011–2012 წწ. მონაცემებით, Rahat Ltd. გამოყენებული იქნა თალიბების მეთაურების მიერ თალიბების საქმიანობის დაფინანსების მიზნით უცხოელი დონორებისა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობიდან მიღებული ფულადი სახსრების გადასარიცხად. მფლობელი – მოჰამედ

			Helmand Province, Afghanistan; დ) Branch Office 4: Lashkar Gah, Helmand Province, Afghanistan; ე) Branch Office 5: Gereshk District, Helmand Province, Afghanistan; ვ) Branch Office 6: Zaranj District, Nimroz Province, Afghanistan; ზ) Branch Office 7: i) Dr Barno Road, Quetta, Pakistan; ii) Haji Mohammed Plaza, Tol Aram Road, near Jamaluddin Afghani Road, Quetta, Pakistan; iii) Kandahari Bazaar, Quetta, Pakistan; თ) Branch Office 8: Chaman, Baluchistan Province, Pakistan; ი) Branch Office 9: Chaghi Bazaar, Chaghi, Baluchistan Province, Pakistan; კ) Branch Office 10: Zahedan, Zabol Province, Iran.		ქასიმ მირ ვალი ხუდაი რაჰიმი (Mohammed Qasim Mir Wali Khudai Rahim). ასევე, კავშირი აქვს მოჰამად ნაიმ ბარიჩ ხუდაიდასთან (Mohammad Naim Barich Khudaidad).